

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა  
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ.ვანი თავისუფლების N65

14 ივლისი 2021 წელი

11:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ:** რამაზ არველაძე, გელა ღვიტიძე, ამირან ტალახაძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი, თენგიზ დვალისხვილი. დავით ხარბიშვილი, ეთერ ჭიჭინაძე, კობა ძაგნიძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა:** ამირან ტალახაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*დანართი N1*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

**მოწვეული პირი:** ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - მიხეილ სვანაძე.

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კვიციანი**.

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ანგარიში 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: მიხეილ სვანაძე

**გადაწყვეტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:**

დღის წერგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (მომხსენებლის საპატიო მიზეზის არ ყოფნის გამო) მათა ჯულაყიძემ ფრაქციის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ანგარიში 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დამტკიცებული არის 14 სოციალური პროგრამა. ბიუჯეტით გამოყოფილია 705000 ლარი.

საბიუჯეტო სახსრები, პროგრამების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

1. ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 90000 .დაკმაყოფილდა 95 ბენეფიციარი, თანხით 34580 ლარი, ნაშთი 15420 ლარი;
  2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 23000 ლარი. დაკმაყოფილდა 50 ბენეფიციარი, თანხით 20700 ლარი, ნაშთი 2300 ლარი;
  3. სამედიცინო დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 300000 ლარი.  
საანგარიშო პერიოდში დაკმაყოფილდა 335 ბენეფიციარი, თანხით 134919.08 ლარი, ნაშთი 15080.92 ლარი;
  4. დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 55000 ლარი. პროგრამით ისარგებლა 23 ბენეფიციარმა, გახარჯულია 27600 ლარი, ნაშთი 2400 ლარი;
  5. შშმ პირთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 72000 ლარი. დაკმაყოფილდა 220 ბენეფიციარი, თანხით 63100 ლარი, ნაშთი 900 ლარი;
  6. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, ბიუჯეტი - 40000 ლარი. პროგრამით სარგებლობს 40 ბენეფიციარი, გახარჯულია 11930 ლარი, ნაშთი 8070 ლარი;
  7. სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 30000 ლარი. დაკმაყოფილდა 15 ბენეფიციარი, თანხით 19000 ლარი, ნაშთი 0 ლარი;
  8. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 7000 ლარი. დაკმაყოფილდა 3 ბენეფიციარი, თანხით 3000 ლარი, ნაშთი 1000 ლარი;
  9. ვეტერანთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 13000 ლარი. დაკმაყოფილდა 15 ბენეფიციარი, თანხით 4700 ლარი, ნაშთი 300 ლარი;
  10. მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 23000 ლარი. დაკმაყოფილდა 83 ბენეფიციარი, თანხით 16700 ლარი, ნაშთი 2300 ლარი;
  11. სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 16000 ლარი. დაკმაყოფილდა 24 ბენეფიციარი, თანხით 12000 ლარი, ნაშთი 500 ლარი;
  12. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 2000 ლარი. დაკმაყოფილდა 2 ბენეფიციარი, თანხით 400 ლარი, ნაშთი 1600 ლარი.
  13. უსახლკაროთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 5000 ლარი, გახარჯულია 1900 ლარი, ნაშთი 1100 ლარი;
  14. სარიტუალო დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 24000 ლარი. დაკმაყოფილდა 34 ბენეფიციარი, თანხით 10100 ლარი, ნაშთი 1900 ლარი;
  15. სხვა სოციალური ღონისძიებების მუხლით გამოყოფილი არის 5000 ლარი. დახმარება გაეწია 9 ბენეფიციარს, გაიხარჯა 1800 ლარი, ნაშთი 800 ლარი.
- სულ საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 952 ბენეფიციარს, თანხით 362429.08 ლარი, ნაშთი 53670.92 ლარი.

კომისიის წევრებმა წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით, ასევე მადლობა გადაუხადეს მომხსენებელს ინფორმაციის მოწოდებისთვის.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე  
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა  
კომისიის სხდომის თავმჯდომარე